ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №18
2022 წლის 30 აგვისტო

დაბა ხულო

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ხულო-თაგოს ბაგირგზის“ მომსახურებისათვის ტარიფის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

დამტკიცდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ხულო-თაგოს ბაგირგზის“ მომსახურების ტარიფები თანდართული დანართის მიხედვით. არასამეწარმეო (არაკომერციული)იურიდიული პირს „ხულო-თაგოს ბაგირგზას“ მიენიჭოს უფლება-მოსილება, რომ დააკისროს მგზავრებს დაწესებული ტარიფის გადახდა.

მუხლი 2

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ხულო-თაგოს ბაგირგზის“ თანამშრომლები, ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ თაგოს მცხოვრებლები და სოფლად დასაქმებულები გათავისუფლდნენ აღნიშნული ტარიფის გადახდისაგან.

მუხლი 3

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ხულო-თაგოს ბაგირგზის“ მუშაობის წესები განისაზღვროს ხულოს მუნიციპალიტეტის მერიის ქვემდებარე აქტით.

მუხლი 4

ამ დადგენილების ძალაში შესვლისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხულო-თაგოს ბაგირგზის მომსახურებისათვის ტარიფების დამტკიცების შესახებ“ ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 30 მარტის დადგენილება №22.

მუხლი 5

დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

ხულოს მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **რენარ ბოლქვაძე**

დანართი

არასამეწარმეო (არაკომერციული)იურიდიული პირის „ხულო-თაგოს ბაგირგზის“ მომსახურების ტარიფები:

მომსახურების სახეობა	ერთეულის რაოდენობა	ფასი ლარებში	შენიშვნა
მგზავრის გადაყვანა	ერთი	5	
ტვირთის გადატანა	30 კგ.დე	უფასო	
ტვირთის გადატანა	30 კგ.-ზე ზევით ყოველ 50 კგ.-ზე	5	